საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა უკიდურესად შეშფოთებულია სოფელ კირბალთან რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის - თამაზ გინტურის მკვლელობის გამო.

გვსურს ღრმა მწუხარება გამოვთქვათ დაღუპულის ოჯახისა და ახლობლების მიმართ.

კატეგორიულად მოვითხოვთ ოკუპანტმა უვნებელი დააბრუნოს უკანონოდ დაპატიმრებული საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე.

პლატფორმა ყოველთვის გამოხატავდა მის უმკაცრეს დამოკიდებულებას მცოცავი ოკუპაციის მიმართ და არაერთხელ მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას ჩვენი დასავლელი პარტნიორების აქტიური ჩართულობით ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებს, დასავლეთს, გაეროს ყველაფერი გააკეთონ, რომ შესაბამისი ზეწოლა მოახდინონ ოკუპანტზე და მოხერხდეს უკანონოდ დაპატიმრებული მოქალაქის დაბრუნება.

ოკუპანტების მიერ განხორციელებულმა ამ კიდევ ერთმა შემზარავმა ქმედებამ ცხადყო, რომ აგრესორი თავისი მიზნების მისაღწევად, თუ შესაბამისი მკაცრი წინააღმდეგობა არ გაეწია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, ყველაფერს მოიმოქმედებს.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას მყისიერი რეგიარებისკენ, ოკუპანტის მიმართ არსებული პოლიტიკის გადახედვისა და მეტი კონტროლის დაწესებისკენ ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ.